საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4389
11/08/2022

4389-21-2-202208112023

შპს „ჯორჯიან ენერჯი გრუპს“
მის: თბილისი, ბარალეთის ჩიხი I, №5
ელ.ფოსტა: info@ecometer.org.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3379 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. საჯიჯაოს ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. საჯიჯაოში. თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდება, რომ აღნიშნული საწარმოს განთავსების ტერიტორია მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხორშაში. შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტების GPS კოორდინატები, გენგეგმაზე დატანით;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, საქმიანობის აღწერის თავში მოცემულია, რომ „დანადგარის საწვავით მომარაგებას უზრუნველყოფს შესაბამისი გამოცდილების მქონე კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის ტერიტორიაზე შესაბამისი ავზებით შემოტანას და დანადგარის შევსებას“, ამასთან, თავი 3.1-ში მითითებულია, რომ „აღნიშნული ტექნიკის საწვავით გამართვა მოხდება ქალაქში არსებულ ავტოგასამართ სადგურზე“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს დანადგარის საწვავით გამართვის საკითხი; სკრინინგის განცხადებაში

ასევე დაზუსტებული უნდა იქნეს ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტებისა და მათი შემდგომი მართვის საკითხი;

- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია წყალაღების წერტილიდან სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარამდე წყლის მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მდინარე ხობისწყალზე წყალაღების კვეთში არსებული ჰიდროლოგიური რეჟიმის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების რისკი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო